# ლიდერობის სტილი და თანამშრომელთა პროდუქტიულობა

ანა ზაქარეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფოუ ნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

ნინო ჯავახიშვილი, ასოცირებულიპროფესორი, PHD

**ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტი**

**თბილისი, 2015**

# აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია კორელაციური კავშირი ლიდერობის სტილსა და თანამშრომელთა პროდუქტიულობას შორის. კვლევაში გამოყენებულია ლიდერის ავთენტურობის საზომი და პროდუქტიულობის კითხვარი - The Role-Based Performance scale. პირველი მათგანი თვითშეფასებითია, ხოლო მეორე ივსება ხელმძღვანელის მიერ უშუალო დაქვემდებარებულზე. გამოკითხვა ჩატარდა საქართველოში დიდი და საშუალო ზომის კომპანიის 37 მენეჯერთან. მათი საშუალო ასაკი იყო 30.

კვლევის შედეგად დაფიქსირდა დადებითი კორელაციური კავშირი ლიდერობის სტილსა და თანამშრომელთა პროდუქტიულობას შორის. ეს შედეგი მოსალოდნელი იყო, რადგან უამრავი სხვა საერთაშორისო კვლევის დასკვნებიც სწორედ ამაზე მიუთითებს. ის, თუ როგორი მართვის სტილით ხელმძღვანელობს მენეჯერი, კავშირშია მის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ პერსონალთან და მათ პროდუქტიულობასთან.